ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482317411**
თარიღი: **23/06/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: საქართველო, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ., N25, ბ. 10

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' N27/21 წერილი , რომელიც შეეხება სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის კუთვნილ ეზოში ცერემონიალის მოწყობისათვის გარკვეული საფასურის დაწესებისა და ოდენობის განსაზღვრის მოთხოვნას, ასევე შემდგომი რეაგირების მიზნით გადმოგვეგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის 2023 წლის 13 ივნისის N49-49231641 ინიციატივა მსგავსი ღონისძიებების ჩატარების მიზნით 200 (ორასი) ლარის ოდენობით მოსაკრებელის დაწესების შესახებ,რაც თავის მხვრივ ხელს შეუწყობს მუზეუმის მატერიალური რესურსების მოზიდვასა და პოპულარიზაციას, მსგავსი სესიის ჩატარების მსურველები გამოთქვამენ მზადყოფნას გადაიხადონ გარკვეული სახის გადასახადი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიის გამოყენება გახდეს ფასიანი და სხვადასხვა ცერემონიალის გამართვისათვის დაწესდეს საფასური 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ" განკარგულების პროექტს.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის '' დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 06 ივნისის N 31 1727 ბრძანებით დამტკიცებული ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის '' წესდების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' მიზანს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეთნოკულტურისა და მუზეუმების ცნობადობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული

ღონისძიებების გატარება დაევალოს ამავე ა(ა)იპს.

გთხოვთ, განიხილოთ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ" განკარგულების პროექტი და პროექტის დამტკიცების შემდეგ, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის თანახმად მოგვცეთ თანხმობა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების - კერძოდ კი წესდების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 ქვეპუნქტი -,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება."

დანართი ,,9" ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

ქ. წყალტუბო

-- ივნისი 2023 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

1.დაწესდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასური 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" მმართველს.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა: მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია: გ. ყურაშვილი

რ.მარგიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“

წესდება

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - (შემდგომში ცენტრი) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ - დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწოდებაა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“.

3.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „შრომის კოდექსის“, ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ იურიდიული მისამართია:ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N25; ელექტრონული ფოსტა kulturiscentri17@mail.ru

5.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციებია:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ სტრუქტურაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
2. კულტურულ დაწესებულებათა (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურის სახლები, კლუბები) სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროგრამების შემუშავება-დამტკიცება და მათი თანმიმდევრული კონტროლი, საქმიანობის სრულყოფისათვის ახალი პროექტების, მეთოდებისა და საშუალებების მოძიება და რეალიზება, საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფის ხელშეწყობა, ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება, შემოქმედებითი ლიტერატურული და სხვა საღამოების, შეხვედრები მწერლებთან, სამეცნიერო კონფერენციების, სადღესასწაულო წარმოდგენების, სახალხო დღესასწაულების, პრეზენტაციების, კონკურსების, კონცერტების, ფესტივალების მოწყობა; მასობრივ ღონისძიებებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვთა და ახალგაზრდების ჩაბმა;
3. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესების შესწავლა და მკითხველთათვის საბიბლიოთეკო დოკუმენტების წიგნების და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
4. საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზაცია და სისტემატური შევსება უახლესი გამოცემებით;

5. ბიბლიოთეკების საცნობარო აპარატის სრულყოფა და მონაცემთა ბაზების შექმნა;
6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეთნოკულტურისა და მუზეუმების ცნობადობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;
7. სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამტკიცება, მათი თანმიმდევრული კონტროლი, კულტურული ექსპონატების გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება, პოპულარიზაცია;
8. ფონდსაცავებში ექსპონატთა დაცვისათვის პირობების შექმნა და საგამოფენო სივრცეების მოწყობა;
9. ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება პოპულარიზაცია;
10. თეატრის განვითარება, პოპულარიზაცია და დამკვიდრება საზოგადოებაში;
11. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩაბმა და თეატრალურ საქმიანობაში, სადადგმო პროცესის ორგანიზება;
12. სხვადასხვა სახის თეატრალური ღონისძიებების, თეატრალური ფესტივალის ჩატარება, უზრუნველოყოფა და მონაწილეობის მიღება;
13. დადგენილი წესით საჯარო ინფომაციის გაცემის უზრუნველყოფა;
14. პროფესიული კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების სტრუქტურის გაფართოება, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
15. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და მართვა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს მმართველი.

2. მმართველის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. მმართველს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი;

3. ცენტრის სტრუქტურა შედგება ცენტრის მმართველის, ადმინისტრაციისაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკლუბო გაერთიანებისაგან და თეატრისაგან.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის:

მთავარი ბიბლიოთეკა, ქალაქ წყალტუბოს საბავშვო ბიბლიოთეკა; სოფელ მაღლაკის, სოფელ გეგუთის, სოფელ ოფურჩხეთის, სოფელ დერჩის, სოფელ საყულიის, სოფელ გუმბრის, სოფელ მეორე უბნის, სოფელ ფარცხანაყანევის, სოფელ მუხიანის, სოფელ ქვიტირის, სოფელ რიონის, სოფელ ჟონეთის, სოფელ დღნორისის, სოფელ გვიშტიბის, სოფელ პატრიკეთის, სოფელ ქვილიშორის, სოფელ ლეხინდრისთავის, სოფელ ტყაჩირის, სოფელ წყალტუბოს, სოფელ პირველი წყალტუბოს, სოფელ ცხუნკურის, სოფელ საჩხეურის, სოფელ ოფშკვითისა და სოფელ მექვენის ბიბლიოთეკები.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების შემადგენლობაში შედის:

ქ. წყალტუბოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფელ ჩუნეშის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სახლ-მუზეუმი, სოფელ დერჩის გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი.

- **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკლუბო გაერთიანების შემადგენლობაში შედის:**
- **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკლუბო გაერთიანების შემადგენლობაში შედის: ,,სოფ.მაღლაკის გიორგი ჟორჟოლიანის სახელობის კულტურის სახლი, სოფ. გეგუთის ლია ხოტივარის სახელობის კულტურის სახლი, სოფ. საყულიის კლუბი, სოფ. ოფშკვითის კლუბი, სოფ. მუხიანის კლუბი, სოფ. ოფურჩხეთის კლუბი, სოფ.დერჩის კლუბი, სოფ.დღნორისის კლუბი,სოფ. ქვილიშორის კლუბი, სოფ. წყალტუბოს კლუბი,სოფ. ცხუკურის კლუბი, სოფ. მეორე უბნის კლუბი."**

მუხლი 4. ცენტრის მმართველი

4.1. „ცენტრს" ხელმძღვანელობს მმართველი.

4.2. „ცენტრის" მმართველი:

4.2.1 მოქმედებს ,,ცენტრის" სახელით და წარმოადგენს მას სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

4.2.2. „ცენტრის" სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით იძენს „ცენტრის" ქონებას; უფლებამოსილია მიიღოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის გადმოცემული ფინანსური სახსრები და მოძრავი ნივთები სარგებლობაში/საკუთრებაში, უძრავი ნივთები სარგებლობაში;

4.2.3. წარმართავს „ცენტრის" საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს ,,ცენტრის'' კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე; ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას;

4.2.4. ახორციელებს ზედამხედველობას ,,ცენტრის'' საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს თანამშრომლების საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

4.2.5.კომპეტენციის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ,,ცენტრის'' სახელით;

4.2.6.შეიმუშავებს ,,ცენტრის'' სამოქმედო გეგმასა და პრიორიტეტებს;

4.2.7. ზრუნავს ადმინისტრაციის თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

4.2.8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს;

4.2.9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად და/ან ცვლილების განსახორციელებლად წარუდგენს სამტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს და ხარჯთაღრიცხვას;

4.2.10. ნიშნავს და ათავისუფლებს „ცენტრის" თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს;

4.2.11. განსაზღვრავს „ცენტრის" თანამშრომელთათვის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომიებს;

4.2.12.ამტკიცების ,,ცენტრის" შინაგანაწესს;

4.2.13. წყვეტს „ცენტრის" ამოცანებით, ფუნქციებით და უფლებამოსილებით გათვალისწინებულ საკითხებს;

4.2.14. განსაზღვრავს ,,ცენტრის" თანამშრომელთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას;

4.2.15. ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას „ცენტრის"თანამშრომლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე;

4.2,16. ზედამხედველობს და პასუხს აგებს ქონების დაცვისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;

4.2.17. ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს „ცენტრის" საფინანსო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციას;

4.2.18. აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით იწვევს სამუშაოდ სპეციალისტებს სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად;

4.2.19.კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ცენტრის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ცენტრის სარგებლობაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

4.2.20.ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე; ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ანგარიშვალდებულია ცენტრის მმართველის წინაშე;

4.2.21.პროფესიული დონის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამებს, ახორციელებს ღონისძიებებს.

მუხლი 5.მატერიალური ბაზა და ფინანსური საქმიანობა

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს“ გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დაფინანსების წყაროებია:

ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები,

ბ) არასაბიუჯეტო წყარო-მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, სამუზეუმო და საკლუბო ქსელებიდან;

გ) სახელმწიფო გრანტები;

დ) შემოწირულობები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზვრვრული თანხები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება;

5. ,,ცენტრი'' უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას:

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს“ შეუძლია მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში; სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობთ, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა)უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა;

ბ)სესხის აღება;

გ)თავდებობა;

დ)სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. საქმიანობის კონტროლი

ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობის კანონიერებასა და მისი საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით და ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დაწესებულება ან პირები.

მუხლი 8. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებითა და საკრებულოს თანხმობით.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს კანონით დადგენილი წესით.

4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების და საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან;
2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;
3. წესდებაში ცვლილების და/ან დამატების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადრესატი:

თეიმურაზი ჭეიშვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:49-49231641
თარიღი: 13/06/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გააჩნია უდიდესი პოტენციალი კვლავ დაუბრუნდეს იმ რუკას, რომელზედაც აღნიშნული იქნება როგორც გამორჩეული საკურორტო ზონა, ამისთვის კი აუცილებელია ხელი შეეწყოს მის განვითარებას. აუცილებელ პირობად უნდა დავისახოთ უკვე არსებული ლოკაციების მოვლა-პატრონობა და მისი პოპულარიზაცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის საკუთრებაში არსებული ეზო, თავისი ხედებით მსურველებს იზიდავს სადღესასწაულო ღონისძიებისათვის დამახასიათებელი ფოტო-ვიდეო გადაღებების მოსაწყობად. როგორც ირკვევა, მსგავსი სესიის ჩატარების მსურველები გამოთქვამენ მზადყოფნას, გადაიხადონ გარკვეული სახის გადასახადი.

,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის ხელმძღვანელის სახელით, მსურს ინიციატივის სახით განხილულ იქნეს მოსაკრებელის დაწესება მსგავსი ღონისძიებების ჩატარების მიზნით 200 ლარის ოდენობით, რაც თავის მხვრივ ხელს შეუწყობს მუზეუმის მატერიალური რესურსების მოზიდვასა და პოპულარიზაციას. ზემოაღნიშნულ საკითხზე კონსულტაცია გავლილია ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ხელმძღვანელთან.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი დააყენოთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

პატივისცემით,

გიორგი ფაჩუაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო„-ფრაქციის თავმჯდომარე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

27-21-2-202305011508

N 27/21

01/05/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

სოფელ ჩუნეშში მდებარე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის კუთვნილი ეზო თავისი გამორჩეული ხედებითა და მწვანე გარემოთი ხშირად იზიდავს მნახველებს სადღესასწაულო ღონისძიებისათვის დამახასიათებელი ფოტო-ვიდეო ხედების მოსაწყობად, რომლებიც ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდის მზადყოფნასაც გამოთქვამენ.

გთხოვთ, გაგვისაზღვროთ მოსაკრებელი მსგავსი ღონისძიებების ჩასატარებლად ჩვენს მიერ წინასწარ გამოყოფილ ლოკაციაზე, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის ცნობადობის ამაღლებას და მატერიალური რესურსების მოზიდვას.

პატივისცემით,

რევაზ მესხი

მმართველი